

შპს „აგროზონა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აგროზონა“ (შემდგომში – *კომპანია*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2004 წლის 21 ივლისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, ხილ-ბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ, საიდენტიფიკაციო კოდი – 205035825. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2 2023 წლის დასაწყისში, კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: მერაბ ბუზალაძე პ/ნ 35001000021 – 90% და მერაბ ლულუნიშვილი პ/ნ 01005008961 – 10%.

1.3 კომპანიის დირექტორი არის მერაბ ლულუნიშვილი, რომელსაც აქვს კომპანიის ერთპიროვნული გადღოლის უფლებამოსილება.

1.4 კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით, საკუთნოებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

1.5. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა საშუალოდ შეადგენდა 15 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) თანახმად, რადგან კომპანია თავისი მაჩვენებლებით გახდა მესამე კატეგორიის საწარმო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა- ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო

პოლიტიკა: შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) .ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

ბ) 2023 წლიდან ძირითადი საშუალებებისა ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 5 %;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები -20 %;

მანქანა-დანადგარები 12,5%;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%;

საოფისე აღჭურვილობა - 20%.

გ)იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგებისგამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

აღნიშნული მუხლი 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით მოიცავს:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაყიდვიდან	908357
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1302
სულ:	909659

3.2. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

ეს მუხლი, რომელიც 2023 წლის ბოლოს შეადგენს 247382 ლარს, მთლიანად შედგება მიმწოდებლებისათვის გადახდილი მიმდინარე ავანსებისაგან.

3.3. მარაგები:

ეს მუხლი, რომელიც 2023 წლის ბოლოს შეადგენს 4551437 ლარს, მთლიანად შედგება გასაყიდად გამიზნული საქონლისათვის. 2023 წლის განმავლობაში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

3.4. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი დღგ	29059
მიღებულ ავანსებზე გადახდილი დღგ	487
ავანსი საპენსიო სააგენტოში	3017
სულ:	32563

3.5. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	316903.17			316903.17
დაუმთავრებელი მშენებლობა	2542.37			2542.37
შენობები	219532		18079	237611
სულ:	538978		18079	557057

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მანქანა დანადგარები	2588	0	631	3219
კომპიუტერები და აღჭურვილობა	4547	800	1631	5378
ოფისის აღჭურვილობა	243	100	646	789
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6924	0	2146	9070
სატრანსპორტო საშუალებები	0	0		0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	1092	1144	2028	1976
სულ:	15394	2044	7082	20432

2023 წელს ძირითადი საშუალებები არ გაყიდულა.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის

თანხა შეადგენდა: 2023 წლის ბოლოს - **304694,25** ლარი;

2022 წლის ბოლოს- 279532.68 ლარი;

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლობის მიმართ	70552
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლობის მიმართ	365230
სულ:	435782

3.7. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 2023 წლის ბოლოს შეადგენს 1153 ლარს

3.8. ამონაგები

2023 წლის ამონაგები მთლიანად შედგება გაყდული საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებიდან (დღგ-ის გარეშე) – 5 031 676 ლარი,

3.9 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული, , პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2023 წელი
სოციალური დანარიცხები	(8962)
ბანკის საკომისიო	(19837)
საგრანსპორტო ხარჯი	(18640)
რეკლამის ხარჯი	(5319)
საწვავის ხარჯი	(38821)
კომუნალური(ელექტრგია, გაზი, დაცვა)	(29266)
კომპიუტერის ხარჯი	(314)
კომუნიკაციის ხარჯი	(4073)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(19020)
სხვა საერთო ხარჯები	(24460)
სხვა საგადასახდო ხარჯი	(3203)
სულ:	-171915

3.10 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი

2023 წლის კომპანიის საანგარიშგებო პერიოდის მოგებამ (მოგების გადასახადის ხარჯამდე) შეადგინა 686000 ლარი. ამავე წელს პარტნიორებზე განაწილებული მოგებიდან დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად გადახდილი იქნა (57059) ლარი, ამასთან განაწილებული მოგების ნაწილი მოდის 2008-2016 წლებში მიღებული მოგების ხვედრით წილად. საბოლოოდ, კომპანიის 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგებამ შეადგინა 628941 ლარი.

3.11 სასამართლო დავები

2023 წელს, კომპანიას მიმდინარე სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 22 აგვისტომდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 22 აგვისტოს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "აგროზონა"

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	204539	300738	219900	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	909659	1007278	1258589	3.1
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	247382	264288	0	3.2
მარაგები	4551437	4101499	3900473	3.3
მზა პროდუქცია	4551437	4101499	3900473	
სხვა	0	0	0	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	32563	31656	175426	3.4
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	6672	7941	0	
ძირითადი საშუალებები	554372	577489	524581	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	6506624	6290889	6078969	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	3745	0	
სავაჭრო ვალდებულებები	435782	483781	35666	3.6
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1153	4917	0	3.7
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	6602	10002	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	87446	88414	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	112116	
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	12381	0	348849	
სულ ვალდებულებები	455918	589891	585045	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	340000	340000	340000	
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5710706	5360998	5153924	
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	6050706	5700998	5493924	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6506624	6290889	6078969	
სულ მოკლევადიანი აქტივები	5945580	5705460	5554388	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	455918	589891	585045	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.08.2024

დირექტორი

მერაბ ლულუნიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "აგროზონა"

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	5031676	6102078
საქონლის გაყიდვიდან	5031676	6102078
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3616518	-4496397
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1415158	1605681
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-430971	-444841
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-27109	-30122
საპროცენტო შემოსავალი	128	186
საპროცენტო ხარჯი	-15046	-9662
იჯარის ხარჯი	-52161	-36780
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-171915	-144746
სულ საოპერაციო ხარჯები	-697074	-665965
საოპერაციო მოგება	718084	939716
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-32084	80172
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	220
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	686000	1020108
მოგების გადასახადის ხარჯი	-57059	-19202
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	628941	1000906
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	628941	1000906
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5700998	5493924
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-323329	-738197
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	44096	-55635
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6050706	5700998

შენიშვნა
3.8

3.9

3.10

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 22.08.2024

დირექტორი _____ მერაბ ლულუნიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის ჩარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "აგროზონა"

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	357255	895739
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	128	-17268
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-395796	-771335
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-38413	107136
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-57786	-26298
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	300738	219900
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	204539	300738

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 22.08.2024

დირექტორი _____

მერაბ ლულუნიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნებ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

